საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ვებგვერდის მომხმარებლის თანხმობა რეგისტრაციაზე

ამ დოკუმენტის სავალდებულო ხასიათის გათვალისწინებით, გთხოვთ, წაიკითხოთ დაკვირვებით

1. წინამდებარე ღილაკზე დაჭერით აცხადებთ თანხმობას საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ვებგვერდით (შემდგომში - ვებგვერდი) სრულფასოვანი სარგებლობის მიზნით (სიახლეების ელექტრონულ ფოსტაზე გამოწერის, პროდუქციის საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ვებგვერდზე განთავსებული ინტერნეტ მაღაზიით (შემდგომში - ინტერნეტ მაღაზია) შეძენის ან/და დიზაინის ესკიზების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა), თქვენთან საკონტაქტოდ და იდენტიფიცირებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - ეროვნული ბანკი) (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1; ტელეფონი: +995 322 406 406; ელექტრონული ფოსტა: info@nbg.gov.ge) მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი (სხვა ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის ნომერი), საიდენტიფიკაციო დოკუმენტის გამცემი ქვეყანა, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა) დამუშავების თაობაზე.
2. თქვენი პერსონალური მონაცემები ეროვნული ბანკის მიერ დამუშავდება თქვენი ნებაყოფლობითი და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით, დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად და მისი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად. შემდგომ ეტაპზე, თუ გადაწყვეტთ პროდუქციის ინტერნეტ მაღაზიით შეძენას, ასევე დიზაინის ესკიზების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღებას, თქვენი ზემოთ მითითებული და სხვა მონაცემების დამუშავების საფუძველი იქნება, ასევე, თქვენთან გარიგების დადება ან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.
3. თქვენი პერსონალური მონაცემები მესამე პირებს შეიძლება გადაეცეთ მხოლოდ თქვენი თანხმობით ან/და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.
4. თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომა შესაძლებელია, მიეცეს ვებგვერდის პროვაიდერს შპს „პროსერვისს“ (ს/კ: 204929168) (მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის ჩიხი 3; ტელეფონი: 032 233 005; ელ. ფოსტა: contact@proservice.ge). მესამე პირთან სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებამდე, ეროვნული ბანკი იღებს ვალდებულებას, დარწმუნდეს, რომ შპს „პროსერვისი“ (ს/კ: 204929168) დაიცავს მისთვის გადაცემულ პერსონალურ მონაცემებს და მიიღებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, მათ შორის, არ გამოიყენებს, არ გაავრცელებს ან არ გაამჟღავნებს მიღებულ ინფორმაციას სხვა მიზნებისთვის.
5. თქვენ მიერ წარმოდგენილი პერსონალური მონაცემები დამუშავდება თქვენი რეგისტრირებულ მომხმარებლად არსებობის მანძილზე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თქვენი პერსონალური მონაცემები სრულად წაიშლება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ თქვენ განხორციელებული გაქვთ ისეთი აქტივობები, როგორიცაა პროდუქციის ინტერნეტ მაღაზიით შეძენა, დიზაინის ესკიზების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღება).
6. ეროვნულ ბანკში მიღებულია ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რაც უზრუნველყოფს თქვენი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების მაღალი სტანდარტით დაცვას, მათ შორის, განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირთა წრე, რომლებიც სარგებლობენ ინდივიდუალური მომხმარებლების ანგარიშებით.

7. თქვენი პერსონალური მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კანონიერად, სამართლიანად, გამჭვირვალედ და ღირსების შეულახავად. თქვენ ადასტურებთ, რომ თქვენ მიერ წარდგენილი ინფორმაცია არის/იქნება ზუსტი და ინფორმირებული ხართ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავით გარანტირებული უფლებების შესახებ, კერძოდ, არასრული, არაზუსტი ან/და მცდარი მონაცემების გასწორების, განახლების, შევსების, დაბლოკვის, წაშლის მოთხოვნის უფლების თაობაზე. თქვენ უფლება გაქვთ იცოდეთ, ვინ და რა სახის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს თქვენს შესახებ, რა მიზნით და საფუძვლით. თქვენ, ასევე, უფლება გაქვთ, უსასყიდლოდ მოითხოვოთ წვდომა საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე ან მიიღოთ ამ მონაცემების ასლები წერილობით (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1) ან/და ელექტრონული ფორმით info@moneymuseum.nbg.gov.ge.

8. თქვენ, ასევე, უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოთ თქვენ მიერ გაცემული თანხმობა (ანუ მოითხოვოთ რეგისტრაციის გაუქმება), ვებგვერდის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით - info@moneymuseum.nbg.gov.ge-ზე შეტყობინების გამოგზავნის გზით. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციის გაუქმების მომენტში თქვენ არ გექნებათ განთავსებული შეკვეთა ან/და არ გექნებათ მიღებული მონაწილეობა კონკურსში, თქვენი მონაცემების დამუშავება შეწყდება/დამუშავებული მონაცემები წაიშლება მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ამ შემთხვევაში, თქვენ გაგიუქმდებათ რეგისტრაცია და ვეღარ შეძლებთ სიახლეების გამოწერას/პროდუქციის შეძენას/დიზაინის ესკიზების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღებას ხელახალ რეგისტრაციამდე.

9. თქვენი ზემოაღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე კანონიერი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

10. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შეგიძლიათ მიმართოთ ეროვნული ბანკის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს - ლია მორალიშვილს (ელ. ფოსტა: dpo@nbg.gov.ge; ტელ.: 032 2 406 406 (126)).

11. ვებგვერდზე განთავსებული ნებისმიერი განცხადება ითვლება ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილად.

12. თანხმობის გამოცხადებით, მომხმარებელი ადასტურებს, რომ:

ა) იგი არის 18 წელს მიღწეული ქმედუნარიანი ფიზიკური პირი;

ბ) იგი არ არის ჩაბმული და არ მონაწილეობს ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ტერორიზმის დაფინანსებასა ან/და რაიმე სახის სხვა უკანონო საქმიანობაში;

გ) მის მიერ ეროვნული ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია წარმოდგენის მომენტისათვის არის უტყუარი, ზუსტი და სრული.

13. მომხმარებელი ვალდებულია, უსაფრთხოდ შეინახოს ვებგვერდზე შექმნილ პირად ანგარიშზე წვდომისთვის საჭირო პაროლი და არ გაუმჟღავნოს ის სხვა პირებს. მომხმარებელი იღებს სრულ პასუხისმგებლობას მისი ანგარიშით განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციაზე. თუ სხვა პირი მომხმარებლის სახელითა და მითითებით ახორციელებს წვდომას მომხმარებლის პირად ანგარიშზე, იგულისხმება, რომ მას გააჩნია საკმარისი უფლებამოსილება, მომხმარებელს დაეკისროს განსაზღვრული ვალდებულებები. ეროვნული ბანკი სრულად იხსნის პასუხისმგებლობას სხვა პირის მიერ მომხმარებლის ანგარიშზე წვდომით გამოწვეული ზიანისთვის.

14. მომხმარებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ვებგვერდზე განთავსებული ვიზუალური მასალა არის მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის, აქედან გამომდინარე, პროდუქციის ფერი და დიზაინი შესაძლოა, არ იყოს ციფრულად წარმოდგენილი ვერსიების იდენტური.

15. ვებგვერდზე განთავსებული ნებისმიერი ფოტო თუ სხვა სახის მასალის გამოყენება, გავრცელება და დამუშავება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, რომ დაცული იქნება ეროვნული ბანკის საავტორო უფლებები.

16. ეროვნულ ბანკსა და მომხმარებელს შორის წამოჭრილი ნებისმიერი სახის დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. თუ მხარეთა მიერ ვერ იქნება მიღწეული შეთანხმება, დავა გადაწყდება სასამართლო წესით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17. ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას, შეიტანოს ცვლილება აღნიშნულ დოკუმენტში, წესებისა და პირობების გვერდზე განახლებული დოკუმენტის განთავსების გზით.